## აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს

## დადგენილება №29

## 2015 წლის 28 დეკემბერი

## ქ. თბილისი

### აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის, 24-ე მუხლის პირველი პუნქტის „დ.ა“ ქვეპუნქტის, 61-ე მუხლის პირველი და მე-2 პუნქტების, საქართველოს კანონის „ნორმატიული აქტების შესახებ“ 25-ე მუხლის პირველი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტის საფუძველზე, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს**:

**მუხლი 1. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ბალანსი**

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტის ბალანსი შემდეგი რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | 2015 წლის ფაქტი | | 2016 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | სულ | | სულ | |
| | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 978.6 | 978.6 | 1,020.00 | 1,020.00 | 1,100.50 | 1,100.50 |
| გადასახადები | 5.3 | 5.3 | 0 | 0 | 0.3 | 0.3 |
| გრანტები | 963 | 963 | 1,019.40 | 1,019.40 | 1,099.60 | 1,099.60 |
| სხვა შემოსავლები | 10.3 | 10.3 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 |
| ხარჯები | 1,021.50 | 1,021.50 | 1,070.80 | 1,070.80 | 1,088.70 | 1,088.70 |
| შრომის ანაზღაურება | 530 | 530 | 459.3 | 459.3 | 519 | 519 |
| საქონელი და მომსახურება | 137.7 | 137.7 | 140.7 | 140.7 | 135.3 | 135.3 |
| სუბსიდიები | 61.1 | 61.1 | 63.3 | 63.3 | 71.9 | 71.9 |
| გრანტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 289.7 | 289.7 | 205.6 | 205.6 | 256.2 | 256.2 |
| სხვა ხარჯები | 3 | 3 | 201.9 | 201.9 | 106.3 | 106.3 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| ზრდა | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| კლება | 42.9 | 42.9 | 89.9 | 89.9 | 0 | 0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 42.9 | 42.9 | 89.9 | 89.9 | 0 | 0 |

*აჯარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

## მუხლი 2. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები, გადასახდელები და ნაშთის ცვლილება თანდართული რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | 2015 წლის ფაქტი | | 2016 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | | სულ | | სულ | |
| | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსავლები | 978.6 | 978.6 | 1,020.00 | 1,020.00 | 1,100.50 | 1,100.50 |
| გადასახადები | 5.3 | 5.3 | 0 | 0 | 0.3 | 0.3 |
| გრანტები | 963 | 963 | 1,019.40 | 1,019.40 | 1,099.60 | 1,099.60 |
| სხვა შემოსავლები | 10.3 | 10.3 | 0.6 | 0.6 | 0.6 | 0.6 |
| ხარჯები | 1,021.50 | 1,021.50 | 1,070.80 | 1,070.80 | 1,088.70 | 1,088.70 |
| შრომის ანაზღაურება | 530 | 530 | 459.3 | 459.3 | 519 | 519 |
| საქონელი და მომსახურება | 137.7 | 137.7 | 140.7 | 140.7 | 135.3 | 135.3 |
| სუბსიდიები | 61.1 | 61.1 | 63.3 | 63.3 | 71.9 | 71.9 |
| გრანტები | 0 | 0 | 0 | 0 | 0 | 0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 289.7 | 289.7 | 205.6 | 205.6 | 256.2 | 256.2 |
| სხვა ხარჯები | 3 | 3 | 201.9 | 201.9 | 106.3 | 106.3 |
| არაფინანსური აქტივების ცვლილება | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| ზრდა | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| კლება | 42.9 | 42.9 | 89.9 | 89.9 | 0 | 0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 42.9 | 42.9 | 89.9 | 89.9 | 0 | 0 |
| ნაშთის ცვლილება | -42.9 | -42.9 | -89.9 | -89.9 | 0 | 0 |

## მუხლი 3. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსავლები 2016 წელს-1100,5 ათასი ლარის ოდენობით

| აჯარის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის შემოსულობები | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | | 976.4 | 0.0 | 976.4 | 1,028.5 | 0.0 | 1,028.5 | 1,100.5 | 0.0 | 1,100.5 |
| შემოსავლები | | 976.4 | 0.0 | 976.4 | 1,023.4 | 0.0 | 1,023.4 | 1,100.5 | 0.0 | 1,100.5 |
| არაფინანსური აქტივების კლება | | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| შემოსავლები | 1 | 976.4 | 0.0 | 976.4 | 1,023.4 | 0.0 | 1,023.4 | 1,100.5 | 0.0 | 1,100.5 |
| გადასახადები | 11 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 3.5 | 0.0 | 3.5 | 0.3 | 0.0 | 0.3 |
| ქონების გადასახადი | 113 | 4.3 | 0.0 | 4.3 | 3.5 | 0.0 | 3.5 | 0.3 | 0.0 | 0.3 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113111 | 0.6 | | 0.6 | 0.3 | | 0.3 | 0.3 | | 0.3 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 113113 | 3.7 | 0.0 | 3.7 | 3.2 | 0.0 | 3.2 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1131131 | 3.7 | | 3.7 | 3.1 | | 3.1 | 0.0 | | 0.0 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 1131132 | 0.0 | | | 0.1 | | 0.1 | 0.0 | | |
| გრანტები | 13 | 963.0 | 0.0 | 963.0 | 1,019.4 | 0.0 | 1,019.4 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | 133 | 963.0 | 0.0 | 963.0 | 1,019.4 | 0.0 | 1,019.4 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული | 1311 | 963.0 | 0.0 | 963.0 | 1,019.4 | 0.0 | 1,019.4 | 1,099.6 | 0.0 | 1,099.6 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| ტრანსფერები | | | | | | | | | | |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 949.9 | | 949.9 | 1,004.4 | | 1,004.4 | 1,074.6 | | 1,074.6 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | | 13.1 | | 13.1 | 15.0 | | 15.0 | 25.0 | | 25.0 |
| სხვა შემოსავლები | 14 | 9.1 | 0.0 | 9.1 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.6 | 0.0 | 0.6 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 8.5 | 0.0 | 8.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტები | 1411 | 8.5 | | 8.5 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 0.4 | 0.0 | 0.4 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.4 | 0.0 | 0.4 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 0.4 | 0.0 | 0.4 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.4 | 0.0 | 0.4 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 0.4 | | 0.4 | 0.1 | | 0.1 | 0.4 | | 0.4 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 0.2 | | 0.2 | 0.4 | | 0.4 | 0.2 | | 0.2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ძირითადი აქტივები | 311 | 0.0 | | | 5.1 | | 5.1 | 0.0 | | |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

## მუხლი 4. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის გრანტები 1099,6 ათასი ლარის ოდენობით.

| დასახელება | კოდი | 2014წლის ფაქტი | | | 2015წლის გეგმა | | | 2016წლისგეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| **გრანტები** | **13** | **963.0** | **0.0** | **963.0** | **1,019.4** | **0.0** | **1,019.4** | **1,099.6** | **0.0** | **1,099.6** |
| **სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი** | **133** | **963.0** | **0.0** | **963.0** | **1,019.4** | **0.0** | **1,019.4** | **1,099.6** | **0.0** | **1,099.6** |
| **ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები** | **1311** | **963.0** | **0.0** | **963.0** | **1,019.4** | **0.0** | **1,019.4** | **1,099.6** | **0.0** | **1,099.6** |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | | | | |
| გათანაბრებითი ტრანსფერი | | 949.9 | | 949.9 | 1,004.4 | | 1,004.4 | 1,074.6 | | 1,074.6 |
| მიზნობრივი ტრანსფერი | | 13.1 | | 13.1 | 15.0 | | 15.0 | 25.0 | | 25.0 |

## მუხლი 5. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სხვა შემოსავლები 0,6ათ.ლარით.

| დასახელება | კოდი | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| სხვა შემოსავლები | 14 | 9.1 | 0.0 | 9.1 | 0.5 | 0.0 | 0.5 | 0.6 | 0.0 | 0.6 |
| შემოსავლები საკუთრებიდან | 141 | 8.5 | 0.0 | 8.5 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| პროცენტები | 1411 | 8.5 | | 8.5 | 0.0 | | 0.0 | 0.0 | | 0.0 |
| საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია | 142 | 0.4 | 0.0 | 0.4 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.4 | 0.0 | 0.4 |
| ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები | 1422 | 0.4 | 0.0 | 0.4 | 0.1 | 0.0 | 0.1 | 0.4 | 0.0 | 0.4 |
| სანებართვო მოსაკრებელი | 14223 | 0.4 | | 0.4 | 0.1 | | 0.1 | 0.4 | | 0.4 |
| ჯარიმები, სანქციები და საურავები | 143 | 0.2 | | 0.2 | 0.4 | | 0.4 | 0.2 | | 0.2 |
| არაფინანსური აქტივების კლება | 31 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 5.1 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ძირითადი აქტივები | 311 | 0.0 | | | 5.1 | | 5.1 | 0.0 | | |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვეგზვერდი, 06.04.2016 წ.*

## მუხლი 6. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯები 1088.7 ათასი ლარის ოდენობით, შემდეგი რედაქციით:

| დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის ფაქტი | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| ხარჯები | 1,021.5 | 0.0 | 1,021.5 | 1,070.8 | 0.0 | 1,070.8 | 1,088.7 | 0.0 | 1,088.7 |

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| შრომის ანაზღაურება | 530.0 | 0.0 | 530.0 | 459.3 | 0.0 | 459.3 | 519.0 | 0.0 | 519.0 |
| საქონელი და მომსახურება | 137.7 | 0.0 | 137.7 | 140.7 | 0.0 | 140.7 | 135.3 | 0.0 | 135.3 |
| სუბსიდიები | 61.1 | 0.0 | 61.1 | 63.3 | 0.0 | 63.3 | 71.9 | 0.0 | 71.9 |
| გრანტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 289.7 | 0.0 | 289.7 | 205.6 | 0.0 | 205.6 | 256.2 | 0.0 | 256.2 |
| სხვა ხარჯები | 3.0 | 0.0 | 3.0 | 201.9 | 0.0 | 201.9 | 106.3 | 0.0 | 106.3 |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

## მუხლი 7. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ცვლილება მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში 2016 წლისათვის განისაზღვრა11.8ათ.ლარით.

| ორგანიზაციული კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | 2015 წლის ფაქტი | | 2016 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის | სულ | მათ შორის |
| | | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| 01 00 | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0,0 | 0,0 | 39.0 | 39.0 | 11.8 | 11.8 |
| | ძირითადი აქტივები | 0,0 | 0,0 | 39.0 | 39.0 | 11.8 | 11.8 |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

## მუხლი 8. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სარეზერვო და წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდები

| ორგ.კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | 2015 წლის ფაქტი | | 2016გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მ.შ. | სულ | მ.შ. | სულ | მ.შ. |
| | | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.9 | 0.9 | 1.3 | 1.3 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.9 | 0.9 | 1.3 | 1.3 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.9 | 0.9 | 1.3 | 1.3 |
| 01 04 | წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| | სხვა ხარჯები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

## მუხლი 9. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდის ფუნქციონალური კლასიფიკაცია

განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ზრდა ფუნქციონალურ ჭრილში, თანდართული რედაქციით:

| ფუნქციონალური კოდი | დასახელება | 2014წლის ფაქტი | | | 2015წლის გეგმა | | | 2016წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდე ბიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| 701 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 531.4 | 0.0 | 531.4 | 586.1 | 0.0 | 586.1 | 618.2 | 0.0 | 618.2 |
| 7011 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა, ფინანსური და ფისკალური საქმიანობა, საგარეო ურთიერთობები | 531.4 | 0.0 | 531.4 | 586.1 | 0.0 | 586.1 | 618.2 | 0.0 | 618.2 |
| 70111 | აღმასრულებელი და წარმომადგენლობითი ორგანოების საქმიანობის უზრუნველყოფა | 528.8 | 0.0 | 528.8 | 586.1 | 0.0 | 586.1 | 616.9 | 0.0 | 616.9 |
| 70112 | ფინანსური და ფისკალური | 2.6 | 0.0 | 2.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 1.3 | 0.0 | 1.3 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | საქმიანობა | | | | | | | | | |
| 702 | თავდაცვა | 22.1 | 0.0 | 22.1 | 22.1 | 0.0 | 22.1 | 24.2 | 0.0 | 24.2 |
| 703 | საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება | 60.9 | 0.0 | 60.9 | 0.6 | 0.0 | 0.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 7032 | ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა | 60.9 | 0.0 | 60.9 | 0.6 | 0.0 | 0.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 704 | ეკონომიკური საქმიანობა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 705 | გარემოს დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 706 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 0.4 | 0.0 | 0.4 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 7.3 | 0.0 | 7.3 |
| 7062 | კომუნალური მეურნეობის განვითარება | 0.4 | 0.0 | 0.4 | 9.0 | 0.0 | 9.0 | 7.3 | 0.0 | 7.3 |
| 707 | ჯანმრთელობის დაცვა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 708 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 96.5 | 0.0 | 96.5 | 75.7 | 0.0 | 75.7 | 82.4 | 0.0 | 82.4 |
| 7081 | მომსახურება დასვენებისა და სპორტის სფეროში | 58.1 | 0.0 | 58.1 | 44.9 | 0.0 | 44.9 | 49.0 | 0.0 | 49.0 |
| 7082 | მომსახურება კულტურის სფეროში | 37.4 | 0.0 | 37.4 | 29.8 | 0.0 | 29.8 | 32.4 | 0.0 | 32.4 |
| 7085 | რელიგია | 1.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 | 1.0 | 0.0 | 1.0 |
| 709 | განათლება | 21.7 | 0.0 | 21.7 | 21.7 | 0.0 | 21.7 | 21.2 | 0.0 | 21.2 |
| 7091 | სკოლამდელი აღზრდა | 21.7 | 0.0 | 21.7 | 21.7 | 0.0 | 21.7 | 21.2 | 0.0 | 21.2 |
| 710 | სოციალური დაცვა | 288.5 | 0.0 | 288.5 | 394.7 | 0.0 | 394.7 | 347.2 | 0.0 | 347.2 |
| 7101 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა სოციალური დაცვა | 41.9 | 0.0 | 41.9 | 49.9 | 0.0 | 49.9 | 67.8 | 0.0 | 67.8 |
| 7102 | ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 33.2 | 0.0 | 33.2 | 33.6 | 0.0 | 33.6 | 38.0 | 0.0 | 38.0 |
| 7103 | ომში დაღუპულთა ოჯახების | 6.6 | 0.0 | 6.6 | 6.2 | 0.0 | 6.2 | 16.0 | 0.0 | 16.0 |

| | | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სოციალური დაცვა | | | | | | | | | |
| 7104 | ოჯახებისა და ბავშვების სოციალური დაცვა | 63.2 | 0.0 | 63.2 | 79.0 | 0.0 | 79.0 | 97.3 | 0.0 | 97.3 |
| 7107 | სოციალური დახმარებები | 124.6 | 0.0 | 124.6 | 210.5 | 0.0 | 210.5 | 114.1 | 0.0 | 114.1 |
| 7109 | დევნილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება | 19.0 | 0.0 | 19.0 | 15.5 | 0.0 | 15.5 | 14.0 | 0.0 | 14.0 |
| | სულ | 1,021.5 | 0.0 | 1,021.5 | 1,109.9 | 0.0 | 1,109.9 | 1,100.5 | 0.0 | 1,100.5 |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

**მუხლი 10. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო**
2016 წელს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის მთლიანი სალდო -0,0 ლარის ტოლია.

**მუხლი 11. ფინანსური აქტივების ცვლილება**
ფინანსური აქტივების ცვლილება 2016 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული არ არის.

**მუხლი 12. პრემიები, დანამატები და დახმარებები**
2016 წლის განმავლობაში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებაზე მყოფი დაწესებულებებისა და ორგანიზაციების მუშაკებზე პრემიების, დანამატების, დახმარების გაცემა განხორციელდეს დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

**მუხლი 13. ადგილობრივი შესყიდვები**
თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გათვალისწინებული თანხებით შესყიდვას ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები ახორციელებენ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონით დადგენილი წესით.

**მუხლი 14. საბიუჯეტო ასიგნებათა ხარჯვა**
1. დაუშვებელია ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურების გაცემა შესაბამისი საშემოსავლო გადასახადის გადახდის გარეშე.
2. სახსრების ის ნაწილი, რომელიც ფისკალური წლის განმავლობაში არ იქნა ათვისებული, გამოიყენება მომდევნო წელს.

3. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის პროგრამები და ღონისძიებები ხორციელდება გაფორმებული "სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის ხელშეკრულების საფუძველზე, მათზე კონტროლი (ინსპექტირება) დაევალოს მუნიციპალიტეტის გამგეობის თანამშრომელს ან თანამშრომელთა ჯგუფს გამგებლის ბრძანებით.

4. გაუთვალისწინებელი გადასახდელების დაფინანსების მიზნით, აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტით დამტკიცებული სარეზერვო ფონდიდან თანხის გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

5. წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანებებისა და სასამართლო აღსრულების ფონდიდან თანხების გაცემა განხორციელდეს გამგებლის ბრძანების საფუძველზე, რომელიც უნდა მოიცავდეს ინფორმაციას თანხის ოდენობისა და მიზნობრიობის შესახებ, ხოლო თანხას გამოყოფს გამგეობის საფინანსო სამსახურის უფროსი.

**მუხლი 15. მიზნობრივი ტრანსფერის ხარჯვა**

დელეგირებული უფლებამოსილებების განსახორციელებლად სახელმწიფო ბიუჯეტიდან მიღებული მიზნობრივი ტრანსფერი 25,0ათ.ლარის ოდენობის: 23,5 ათასი ლარი მიიმართოს „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და „სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ“ საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის და 1,5 ათ.ლარი – დევნილთა დაკრძალვის ხარჯებისათვის.

**მუხლი 16. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა**

მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფის პროგრამებისათვის გამოყოფილი ასიგნებების განკარგვა განხორციელდეს მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ დადგენილი წესის, ამ ბიუჯეტისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

**მუხლი 17. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პრიორიტეტები და პროგრამები**

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილი მოსახლეობის სოციალური პირობების გაუმჯობესების, ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვის, კულტურის, დასვენებისა და სპორტის სფეროების, სკოლამდელი განათლების ხელშეწყობის განვითარებისათვის, 2016 წელს მუნიციპალიტეტის სტრატეგია უცვლელია, ძირითადი პრიორიტეტებია:

| ორგ. კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | | 2015 წლის გეგმა | | | 2016 წლის გეგმა | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან | საკუთარი შემოსავლები |
| 02 00 | თავდაცვა, | 83.0 | 0.0 | 83.0 | 83.1 | 0.0 | 83.1 | 23.5 | 0.0 | 23.5 |
| 03 00 | ინფრასტრუქტურა | 0.4 | 0.0 | 0.4 | 2.0 | 0.0 | 2.0 | 10.0 | 0.0 | 10.0 |
| 04 00 | განათლება | 21.7 | 0.0 | 21.7 | 22.0 | 0.0 | 22.0 | 21.7 | 0.0 | 21.7 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი | 96.5 | 0.0 | 96.5 | 94.8 | 0.0 | 94.8 | 97.6 | 0.0 | 97.6 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 288.5 | 0.0 | 288.5 | 254.7 | 0.0 | 254.7 | 318.6 | 0.0 | 318.6 |

***მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა(კოდი 06 00)***

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული ოჯახების და მოქალაქეების მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვის ხელშეწყობა და სოციალური დაცვა მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ მთავარ პრიორიტეტს წარმოადგენს. მუნიციპალიტეტი არსებული რესურსების ფარგლებში განაგრძობს დევნილი მოსახლეობის სხვადასხვა დახმარებებით უზრუნველყოფას.

**1.1. მოსახლეობის სოციალური უზრუნველყოფა (კოდი 06 01)**

პროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრები მოსახლეობის სხვადასხვა

ფენისათვის სოციალური დახმარებებით უზრუნველყოფას. შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირების დახმარებას, მარტოხელა პენსიონერების დახმარებას, მარჩენალდაკარგული პირების დახმარებას, ომში დაღუპულ პირთა ოჯახების დახმარებას,

დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესების მიზნით მრავალშვილიანი ოჯახების, მარტოხელა დედების, ახალშობილთა ბავშვების დაბადებისათვის ოჯახის დახმარებას და სხვა სოციალურ ღონისძიებებს, რომლებიც მთლიანობაში უზრუნველყოფენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მოსახლეობის სოციალური-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

### 1.1.1. ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დახმარებები ( კოდი 06 01 01)

ქვეპროგრამის ფარგლებში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული პირებისათვის დაფინანსდება:

ა) ზემო აფხაზეთიდან დევნილი, შეზღუდულ შესაძლებლობის მქონე პირებისათვის, რომლებიც დამოუკიდებლად ვერ გადაადგილდებიან, მოხდება სპეციალური სავარძლის შეძენა, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს;

ბ) ბიუჯეტიდან ერთჯერადად ანაზღაურდება იძულებით გადაადგილებული ონკოლოგიურად დაავადებული პირების მკურნალობის ხარჯები (დახმარების ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 1000 ლარს).

გ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, მკვეთრად და მნიშვნელოვნად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე იძულებით გადაადგილებული პირები, ასევე შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების ერთჯერად დაფინანსება (თითოეულ ბენეფიციარზე 200 ლარის ოდენობით).

დ) ქვეპროგრამის ფარგლებში შეზღუდული შესაძლებლობის მქონე იმ პირთათვის, რომლებსაც არ შეუძლიათ დამოუკიდებლად საწოლიდან ადგომა აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან შეძენილი იქნება სპეციალური სამედიცინო მოწყობილობა (ნაწოლების საწინააღმდეგო ლეიბი, რომლის ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 250 ლარს).

ე)აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული პირების ოპერაციები და მასთან დაკავშირებული ხარჯები და ასევე ოპერაციასთან დაკავშირებული მედიკამენტოზური მკურნალობის ხარჯები. დახმარების ოდენობა განისაზღვრება სოციალური დახმარების გაცემის სამუშაო ჯგუფის მიერ, რაც ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 500 ლარს, ხოლო ცალკე მედიკამენტოზური მკურნალობის ნაწილში – 250 ლარს.

ვ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად არაუმეტეს 1500 ლარის ოდენობით ანაზღაურდეს, იძულებით გადაადგილებული მცირეწლოვანი ბავშვების (0-10წლამდე), რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, სამედიცინო მომსახურების (მათ შორის სარეაბილიტაციო პროცედურები, უცილებელი მედიკამენტების შეძენა, დაავადებათა შემდგომი პრევენცია) ხარჯები, მათთვის განსაკუთრებულ პირობებში და გადაუდებელ შემთხვევაში, ჯანმრთელობის მოშლის ისეთი ფორმის არსებობისას, როდესაც მათი სიცოცხლე საფრთხეშია და დაუყოვნებელი მკურნალობის გარეშე სიკვდილი გარდაუვალია, ან/და როდესაც სახეზეა დაინვალიდების ან ჯანმრთელობის მდგომარეობის სერიოზული გაუარესების აშკარა და გარდაუვალი საფრთხე და რასაც უპირობოდ უკავშირდება დაავადებების სამკურნალო და სარეაბილიტაციო ღონისძიებების აუცილებელი განხორციელება.

ზ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, 1992 წლიდან-2004 წლამდე საომარი მოქმედებისა და სამხედრო დავალების შესრულების დროს მიღებული მძიმე ტრავმის(კიდურების: ხელის,ფეხის ამპუტაცია) დაინვალიდებულ პირთა ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს არაუმეტეს 1000 ლარის

ოდენობით).

### 1.1.2. ხანდაზმულთა სოციალური დაცვა ( კოდი 06 01 02)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული:

ა) ერთჯერად (200 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები 80- დან 100 წლამდე, ხოლო ერთჯერად (500 ლარის ოდენობით) დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული მოქალაქეები რომელთაც შეუსრულდათ 100 და მეტი წელი.

ბ) ერთჯერად ფულად დახმარებას მიიღებენ მარტოხელა პენსიონერები (თითოეული 200 ლარის ოდენობით).

### 1.1.3. ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა (კოდი 06 01 03)

ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვის კუთხით ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ:

ა) ქვეპროგრამის ფარგლებში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ მარტოხელა დედებს - ერთჯერადი ფულადი დახმარება, თითოეულს 200 ლარის ოდენობით;

ბ) ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია იძულებით გადაადგილებული მრავალშვილიანი ოჯახების (3 და მეტი 0-დან 18 წლამდე), ერთჯერადი ფულადი დახმარება განისაზღვროს სამ შვილზე 200 ლარით და ყოველ მომდევნო შვილზე 50 ლარით მეტი;

გ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ, იძულებით გადაადგილებულ ოჯახებს დახმარება- მე-3 და მეტი შვილის შეძენისას. (დახმარება განისაზღვრება მე-3 ბავშვის დაბადებისათვის 200 ლარის ოდენობით, მე-4 ბავშვის დაბადებისათვის 400 ლარის ოდენობით და ა.შ. ყოველ შემდგომ ბავშვზე 200 ლარით მეტი);

დ) პროგრამის ფარგლებში, აგრეთვე, ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და ჰყავთ პირველკლასელი ბავშვები (დახმარება გაეწევა თითოეულს არაუმეტეს 35 ლარის ღირებულების სასკოლო ჩანთით).

ე) ერთჯერად დახმარებას კვების პროდუქტების პაკეტით (არაუმეტეს 70 ლარის ღირებულების) მიიღებენ იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და ჰყავთ 1999-2016 წლებში დაბადებული ბავშვები. 1 ან 2 ბავშვის შემთხვევაში – 1 სასაქონლე პაკეტს, 3 ან 4 ბავშვის შემთხვევაში – 2 სასაქონლე პაკეტს, ხოლო 5 ან მეტი ბავშვის შემთხვევაში – 3 სასაქონლე პაკეტს.

ვ) პროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწევა დედ-მამით ობოლ 0-დან 18 წლამდე ბავშვებს ერთჯერადად 1500 ლარის ოდენობით.

ზ) პროგრამის ფარგლებში ერთჯერადად, 200 ლარის ოდენობით, დახმარება გაეწევათ იძულებით გადაადგილებულ ბავშვებს 0-დან 18 წლამდე, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და არიან მარჩენალდაკარგული პირები.

### 1.1.4 ომში დაღუპულ პირთა ოჯახების სოციალური დაცვა (კოდი 06 01 04)

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებულ ომში დაღუპულ პირთა ოჯახების ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულ ოჯახზე 500 ლარის ოდენობით).

1.1.5 სოციალური დახმარებები (კოდი 06 01 05)

ქვეპროგრამის ფარგლებში მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან დახმარება გაეწევათ :

ა) ერთჯერად დაფინანსებას მიიღებენ კომპაქტურ დასახლებებში მცხოვრები იძულებით გადაადგილებული ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში და აქვთ ბუნებრივი აირი. დახმარებას მიიღებენ გაზის გამათბობლის სახით (ოჯახზე ერთი), თითოეულის საცხოვრებელი ბინის ფართობის გათვალისწინებით, სამუშაო ჯგუფის მიერ მოძიებული მონაცემების და გადაწყვეტილების საფუძველზე;

ბ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ანაზღაურდება იძულებით გადაადგილებული ოჯახების, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში, ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების ღირებულების ანაზღაურება, ბუნებრივი აირით მომარაგების სისტემის სამონტაჟო სამუშაოების განმახორციელებელი ორგანიზაციის ხარჯთაღრიცხვის დოკუმენტის და ანგარიშ-ფაქტურის საფუძველზე რომელიც არ უნდა აღემატებოდეს (ერთი ოჯახისათვის) 400 ლარს სამუშაო ჯგუფის მიერ მოძიებული მონაცემების და გადაწყვეტილების საფუძველზე;

გ) პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტების დახმარება - ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწევათ პროფესიული საგნმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლის საფასურის დაფინანსების არაუმეტეს1000 ლარის ოდენობით, „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2016 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად.

დ) (ამოღებულია - 04.11.2016, №11).

ე)აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად (არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობისა) ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული, კულტურისა და სპორტის სფეროში მოღვაწე, წარჩინებული ახალგაზრდების რესპუბლიკურ და საერთაშორისო შეჯიბრებებში მონაწილეობის ხარჯები.

ვ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად (არაუმეტეს 1000 ლარის ოდენობისა) ანაზღაურდება ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული იმ წარჩინებული ახალგაზრდების სწავლება, რომლებიც ირიცხებიან კულტურულ ან სპორტულ სპეციალიზებულ სკოლებში.

ზ) აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ერთჯერადად განხორციელდება, ამავე მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ პირთა საკუთრებაში არსებული კერძო სახლებისა და დამხმარე შენობა-ნაგებობების გადასახური სამშენებლო მასალის შეძენა და გადაცემა.

შესაძენი სამშენებლო მასალის ღირებულების ოდენობა (არაუმეტეს 1500 ლარის ღირებულების) განისაზღვრება სამუშაო ჯგუფის მიერ ადგილზე შედგენილი დათვალიერების ოქმის და სათანადო აქტის საფუძველზე.გამონაკლის შემთხვევაში, სამშენებლო მასალის შეძენა განხორციელდება შესაბამისი საკუთრების უფლების დამადასტურებელი დოკუმენტის არქონისას, მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სახეზეა დევნილი პირის მიერ კერძო სახლის საკუთრებაში არსებობის უტყუარი და ამ უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების კეთილსინდისიერად მოპოვების საფუძვლები, რაც დასტურდება ადგილობრივი მუნიციპალიტეტის უფლებამოსილი თანამდებობის პირის ხელმოწერით, მოწმეთა ჩვენებებით, სხვა მტკიცებულებებით (კომუნალური მომსახურების ხარჯების გადახდის შესახებ ქვითარი, ხელშკრულება/გარიგება უძრავი ქონების შეძენის შესახებ) და რომლითაც უპირობოდ დგინდება საცხოვრებელი კერძო სახლის მფლობელობის, სარგებლობისა და განკარგვის უფლებამოსილებათა ერთიანობა და როდესაც არ არსებობს უძრავ ქონებაზე საკუთრების უფლების შეზღუდვის სამართლებრივი საფუძვლები.

თ) ერთჯერად 300 (ლარის) ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული იძულებით გადაადგილებული სიღარიბის ზღვარს ქვემოთ მყოფი დევნილი ოჯახები, რომლებიც რეგისტრირებულნი არიან სოციალურად დაუცველი ოჯახების მონაცემთა ბაზაში და რომელთა სარეიტინგო ქულა ნაკლებია 30001-ზე. ამავე საფუძვლებით და

პირობებით ერთჯერად 200 (ორასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას მიიღებენ სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 30001-ი და მეტია, მაგრამ ნაკლებია 57001-ზე და 100 (ასი) ლარის ოდენობით დაფინანსებას - სოციალურად დაუცველი ოჯახები, რომელთა სარეიტინგო ქულა 57001-ი და მეტია, მაგრამ ნაკლებია 65001-ზე.

**1.1.6. სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის სარიტუალო მომსახურების ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება (კოდი 06 01 06)**

ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული, იძულებით გადაადგილებული გარდაცვლილი პირების, სარიტუალო მომსახურება (თითოეულ ბენეფიციარზე 500 (ხუთასი) ლარის ოდენობით).

**2. კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი ( კოდი 05 00)**

აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი აქტიურად უწყობს ხელს კულტურული ტრადიციების დაცვას და ღირსეულ გაგრძელებას. ამასთანავე, ერთ-ერთი პრიორიტეტია ახალგაზრდების მრავალმხრივი (როგორც სულიერი, ისე ფიზიკური თვალსაზრისით) განვითარების ხელშეწყობა და მათში ცხოვრების ჯანსაღი წესის დამკვიდრება. შესაბამისად, მუნიციპალიტეტი განაგრძობს კულტურული ღონისძიებების განხორციელებას და ფინანსურ მხარდაჭერას, წარმატებული სპორტსმენების ხელშეწყობას და შესაბამისი პირობების შექმნას, რათა ნიჭიერმა ბავშვებმა და ახალგაზრდებმა შეძლონ მათი სპორტული შესაძლებლობების გამოვლენა. ასევე ახალგაზრდებში ცხოვრების ჯანსაღი წესის წახალისების მიზნით გასატარებელ ღონისძიებებს; პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება სხვადასხვა ღონისძიებები, რომლებიც ხელს შეუწყობს ახალგაზრდა თაობის ჩართვას აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ყოველდღიურ საქმიანობასა და მის განვითარებაში. პროგრამის ფარგლებში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2015 წლის განმავლობაში სუბსიდირების წესით დაფინანსებას მიიღებენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის შემდეგი არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირები: ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრი“ და „აჟარის სპორტ-სკოლა“

**2.1. სპორტის განვითარების ხელშეწყობა ( კოდი 05 01)**

პროგრამის ფარგლებში მოხდება სხვადასხვა სპორტული ღონისძიების მხარდაჭერა და დაფინანსება ნიჭიერი სპორტსმენების წახალისების, ახალგაზრდობაში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვისათვის და აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ სპორტსმენებისათვის სავარჯიშოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

**2.1.1 . სპორტული ღონისძიებების დაფინანსება (კოდი 05 01 01)**

2016 წლის განმავლობაში მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი სპორტული ღონისძიებები:

**ა) „ძიუდოსა და თავისუფალ ჭიდაობაში ვარჯიში და სხვადასხვა ტურნირებში მონაწილეობა“** - ღონისძიებაში მონაწილეობას მიიღებენ ა(ა)იპ ,,ს.აჟარის სპორტსკოლის“ მოსწავლე ბავშვები. შეიქმნება მათთვის ვარჯიშისათვის და ტურნირებში მონაწილეობისათვის საჭირო პირობები;

**ბ) ,,ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში“** - ღონისძიების ფარგლებში გაიმართება ტურნირი მაგიდის ჩოგბურთში, რომელშიც მონაწილეობს მიიღებენ ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“მოსწავლე ბავშვები და აჟარის (ზემოაფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებული სკოლის მოსწავლე ბავშვები, მოხდება გამარჯვებულების გამოვლენა და დაჯილდოება;

**გ)** (ამოღებულია - 04.11.2016, №11).

**დ) ,,ზემო აფხაზეთის გარდამავალი თასი და სხვადასხვა ტურნირი ფეხბურთში“** - ღონისძიების ფარგლებში მოხდება მოსწავლე ახალგაზრდების საფეხბურთო წვრთნა, რისთვისაც შექმნილი იქნება სათანადო პირობები. გაიმართება საფეხბურთო ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ ა(ა)იპ ,,ს. აჟარის სპორტსკოლის“ საფეხბურთო გუნდები, მოხდება საპრიზო ადგილის მფლობელთა გამოვლენა და დაჯილდოება. ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ საფეხბურთო გუნდები მონაწილეობას

მიიღებენ სხვადასხვა ტურნირებში.

**ე) ,,ლაშქრობა“** - ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან იძულებით გადაადგილებილი 17-18 წლის ახალგაზრდებისათვის 2-3-დღიანი ლაშქრობა მარშრუტით თბილისიდან -წოდორეთი-ბევრეთი მონაკვეთზე, სადაც დაათვალიერებენ და გაეცნობიან ფლორას და ფაუნას, სხვადასახვა ისტორიულ ღირსშესანიშნაობებს.

**2.1.2. ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლის“ დაფინანსება (კოდი 05 01 02)**

ასიგნებების ფარგლებში დაფინანსებას მიიღებს ა(ა)იპ „აჟარის სპორტ-სკოლა.“

**2.2. კულტურის განვითარების ხელშეწყობა ( კოდი 05 02)**

მუნიციპალიტეტის კულტურული ტრადიციების დაცვის მიზნით პროგრამის ფარგლებში განხორციელდება სხვადასხვა კულტურული ღონისძიებები, მათ შორის სადღესასწაულო დღეებში სხვადასხვა გასართობი და სანახაობრივი ღონისძიებები, დაფინანსდება მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრის“ მოსწავლეებისათვის სამეცადინოდ შესაბამისი პირობების შექმნა.

**2.2.1. კულტურული ღონისძიებების დაფინანსება ( კოდი 05 02 01)**

მუნიციპალიტეტის 2016 წლის ბიუჯეტიდან დაფინანსდება შემდეგი კულტურული ღონისძიებები:

**ა) ,,დედაენის დღე“** - დედაენის დღესთან დაკავშირებით ზემო აფხაზეთის რესურს ცენტრის ხელშეწყობით გაიმართება ღონისძიება, რომელშიც მონაწილეობას მიიღებენ აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილი ახალგაზრდები;

**ბ)** (ამოღებულია - 04.11.2016, №11).

**გ) ,,ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის აღნიშვნა“** - ღონისძიების ფარგლებში, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით გათვალისწინებულია აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილი, მათ შორის შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე ბავშვების წაყვანა მთაწმინდის პარკში, მათთვის სხვადასხვა სახის ატრაქციონებზე გასართობად ბარათების შეძენა და ნაყინით გამასპინძლება;

**დ) ,,სოხუმის თეატრი“** - აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსწავლე ახალგაზრდობისათვის შეძენილი იქნება ბილეთები კონსტანტინე გამსახურდიას სახელობის „სოხუმის სახელმწიფო თეატრის“ სპექტაკლზე დასასწრებად;

**ე) ,,1991-2008 წლის მოვლენებისადმი მიძღვნილი ღონისძიებები“-** ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია 1991-2008 წლებში მომხდარი საომარი მოქმედებების დროს და საქართველოს მთლიანობისთვის შეწირული გმირების ხსოვნისადმი მიძღვნილი მშვიდობიანი აქციის მოწყობა და გმირთა მემორიალის ყვავილებით შემკობა;

**ვ) ,,სიმღერის და ცეკვის სწავლება“** - ღონისძიების ფარგლებში ა(ა)იპ ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრთან“ არსებული სიმღერისა და ცეკვის წრეებისათვის მოწვეულები იქნებიან ქართული ხალხური ცეკვისა და სიმღერის პედაგოგები. იქნება დაქირავებული დარბაზი , სადაც ბავშვებს ყველა პირობა ექნებათ სავარჯიშოდ;

**ზ) ,,ინტელექტულურ-შემეცნებითი პროექტი „ერუდიტი“** - ღონისძიების ფარგლებში გათვალისწინებულია საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლებული აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტიდან დევნილი სკოლის მოსწავლე 100-150 ბავშვის მონაწილეობა ინტელექტულურ-შემეცნებით პროექტ „ერუდიტში“ მონაწილეობა, მოხდება დებულების შემუშავება, თამაშის ორგანიზება, გამარჯვებულთა დაჯილდოვება;

**თ) ,,გასართობი ღონისძიება“** - ამ ქვეპროგრამის ფარგლებში აღმოსავლეთ საქართველოში მცხოვრები ახალგაზრდებისათვის შეძენილ იქნება ცირკის წარმოდგენაზე დასასწრები ბილეთები. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის მიერ შერჩეული იქნება წარმოდგენა სათანადო ასაკობრივი

ჯგუფისათვის და მოხდება დასწრების ორგანიზება;

ი) საქართველოს ეროვნული ინტელექტ-ჩემპიონატი **„ეტალონი 2016“**- 2016 წლის აპრილში ქ.თბილისში ჩატარდება „კოდორის ხეობის ეტალონი მოსწავლის“გამოსავლენი ინტელექტუალური კონკურსი, კონკურსში გამარჯვებული მონაწილეობას მიიღებს 2016 წლის მაისში სპორტის სასახლეში „საქართველოს 2015-2016 წლის ეტალონი მოსწავლეს“ გამოსავლენ კონკურსში.

**2.2.2. ა(ა)იპ ,,აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის აჟარის კულტურის ცენტრის“ დაფინანსება (კოდი 05 02 02)**

დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში დაფინანსებას მიიღებს ა(ა)იპ „ს.აჟარის კულტურის ცენტრი“.

**2.3. რელიგიის მსახურთა ხელშეწყობა (კოდი 05 03)**

პროგრამის ფარგლებში დაფინანსდება აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული სასულიერო პირების რელიგიურ საქმიანობაში ხელშეწყობა.

**3. თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება (კოდი 02 00)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მობილიზება და მათი გაწვევის პუნქტებზე მათი გამოცხადების უზრუნველყოფა.

**3.1. ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა ( კოდი 02 02)**

საქართველოს შეიარაღებული ძალების საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებისათვის აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის გამგეობის სამხედრო აღრიცხვისა და გაწვევის სამსახურის მიერ ხორციელდება წვევამდელთა აღრიცხვა, მობილიზება და გაწვევის პუნქტებზე დარჩეს გამოცხადების უზრუნველყოფა.

**4. ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია ( კოდი 03 00)**

პროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს 2008 წლის აგვისტოს მოვლენების შედეგად დაზარალებული, ზემო აფხაზეთიდან დევნილი და საქართველოს ტერიტორიაზე ჩასახლებული დევნილი მოსახლეობისათვის ინფრასტრუქტურული, საბინაო-კომუნალური მდგომარეობის გაუმჯობესებას.

**4.1. საბინაო-კომუნალური მეურნეობის დაფინანსება (კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში) (კოდი 03 01)**

საქართველოს ტერიტორიაზე ათეულობით არასამთავრობო და საბიუჯეტო ორგანიზაცია მუშაობს, რომელთა საქმიანობა მიმართულია ინფრასტრუქტურული სახის პროექტების განხორციელებით. მათი მიზანია ხელი შეუწყონ მუნიციპალიტეტში არსებული ძირითადი პრობლემების გადაჭრას, როგორიცაა დევნილთა ჩასახლებებში მათი საცხოვრისის გარე და შიდა რემონტების და შემოგარენის მოწყობის დაფინანსებას და შექმნან მექანიზმები შემდგომში ამ პრობლემების თავიდან ასაცილებლად. არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ საკუთარი საქმიანობის დაგეგმვა და განხორციელება ძირითადად დაკავშირებულია საერთაშორისო დონორი ორგანიზაციების მიერ გამოცხადებულ კონკურსებთან და მათი დაფინანსების ძირითადი წყარო ამ კონკურსში გამარჯვების შედეგად მოპოვებული თანხებია. აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტი დადებითად აფასებს ამ ორგანიზაციების მიერ გამოჩენილ აქტიურობას და მათ საქმიანობას და ხელშეწყობის მიზნით აცხადებს მზადყოფნას გარკვეული თანადაფინანსებით წაახალისოს ყველა ის ორგანიზაცია (საბიუჯეტო საბავშო ბაგა-ბაღები, ბიბლიოთეკები, სკოლები და ა.შ.), არასამთავრობო, სათემო, არარეგისტრირებული კავშირი, არასამეწარმეო (არაკომერციული) და სხვა), რომელიც საკუთარი სახსრებით ან დონორი ორგანიზაციებიდან გრანტის მიღების გზით მოახდენს წილობრივ თანადაფინანსებას და პროექტის განხორციელებით ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული დევნილების საცხოვრებელი პირობების მდგომარეობის გაუმჯობესებას.

## 5. განათლება (კოდი 04 00)

მომავალი თაობების აღზრდის მიმართულებით დაწყებითი და ზოგადი განათლების გარდა მნიშვნელოვანი როლი ენიჭება ასევე სკოლამდელ განათლებას, რაც თვითმმართველი ერთეულის საკუთარ უფლებამოსილებებს განეკუთვნება და შესაბამისად მუნიციპალიტეტის ერთ-ერთ პრიორიტეტს წარმოადგენს.

### 5.1. სკოლამდელი განათლება ( კოდი 04 01)

პროგრამის ფარგლებში აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან 2016 წლის განმავლობაში სუბსიდირების წესით დაფინანსებას მიიღებს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის ა(ა)იპ - ,,აჟარის საბავშვო ბაღი"რომელიც ურთიერთშეთანხმების საფუძველზე ფუნქციონირებს თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის , სოფ.წინწყაროს საბავშვო ბაღში.

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 2 სექტემბრის დადგენილება №9 - ვებგვერდი, 08.09.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

**მუხლი 18. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები**
განისაზღვროს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებები საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით, თანდართული რედაქციით:

| ორგ.კოდი | დასახელება | 2014 წლის ფაქტი | | 2015 წლის ფაქტი | | 2016 წლის გეგმა | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | | სულ | | სულ | |
| | | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები | | საკუთარი შემოსავლები |
| | **აჟარის მუნიციპალიტეტი** | **1,021.50** | **1,021.50** | **1,109.90** | **1,109.90** | **1,100.50** | **1,100.50** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 39 | 39 | 32 | 32 | 33 | 33 |
| | ხარჯები | 1,021.50 | 1,021.50 | 1,070.80 | 1,070.80 | 1,088.70 | 1,088.70 |
| | შრომის ანაზღაურება | 530 | 530 | 459.3 | 459.3 | 519 | 519 |
| | საქონელი და მომსახურება | 137.7 | 137.7 | 140.7 | 140.7 | 135.3 | 135.3 |
| | სუბსიდიები | 61.1 | 61.1 | 63.3 | 63.3 | 71.9 | 71.9 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 289.7 | 289.7 | 205.6 | 205.6 | 256.2 | 256.2 |
| | სხვა ხარჯები | 3 | 3 | 201.9 | 201.9 | 106.3 | 106.3 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| | ძირითადი აქტივები | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| **01 00** | **წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოების დაფინანსება** | **531.4** | **531.4** | **586.1** | **586.1** | **618.2** | **618.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 29 | 29 | 30 | 30 | 31 | 31 |
| | ხარჯები | 531.4 | 531.4 | 547 | 547 | 606.4 | 606.4 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | შრომის ანაზღაურება | 447.5 | 447.5 | 437.1 | 437.1 | 495.2 | 495.2 |
| | საქონელი და მომსახურება | 80.1 | 80.1 | 106.1 | 106.1 | 105.4 | 105.4 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1.2 | 1.2 | 3.7 | 3.7 | 4.4 | 4.4 |
| | სხვა ხარჯები | 2.6 | 2.6 | 0.1 | 0.1 | 1.4 | 1.4 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| | ძირითადი აქტივები | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 11.8 | 11.8 |
| **01 01** | **აჟარის მუნიციპალიტეტის საკრებულო** | **237.5** | **237.5** | **231.1** | **231.1** | **256.2** | **256.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 11 | 11 | 11 | 11 | 12 | 12 |
| | ხარჯები | 237.5 | 237.5 | 231.1 | 231.1 | 254.1 | 254.1 |
| | შრომის ანაზღაურება | 207.5 | 207.5 | 193.4 | 193.4 | 219.2 | 219.2 |
| | საქონელი და მომსახურება | 30 | 30 | 37.7 | 37.7 | 34.9 | 34.9 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 0 | 0 | 2.1 | 2.1 |
| | ძირითადი აქტივები | 0 | 0 | 0 | 0 | 2.1 | 2.1 |
| **01 02** | **აჟარის მუნიციპალიტეტის გამგეობა** | **291.3** | **291.3** | **355** | **355** | **360.7** | **360.7** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 18 | 18 | 19 | 19 | 19 | 19 |
| | ხარჯები | 291.3 | 291.3 | 315.9 | 315.9 | 351 | 351 |
| | შრომის ანაზღაურება | 240 | 240 | 243.7 | 243.7 | 276 | 276 |
| | საქონელი და მომსახურება | 50.1 | 50.1 | 68.4 | 68.4 | 70.5 | 70.5 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 1.2 | 1.2 | 3.7 | 3.7 | 4.4 | 4.4 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0.1 | 0.1 | 0.1 | 0.1 |
| | არაფინანსური აქტივების ზრდა | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 9.7 | 9.7 |
| | ძირითადი აქტივები | 0 | 0 | 39.1 | 39.1 | 9.7 | 9.7 |
| 01 03 | სარეზერვო ფონდი | 2.6 | 2.6 | 0 | 0 | 1.3 | 1.3 |
| | ხარჯები | 2.6 | 2.6 | 0 | 0 | 1.3 | 1.3 |
| | სხვა ხარჯები | 2.6 | 2.6 | 0 | 0 | 1.3 | 1.3 |
| **02 00** | **თავდაცვა, საზოგადოებრივი წესრიგი და უსაფრთხოება** | **83** | **83** | **22.7** | **22.7** | **24.2** | **24.2** |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 10 | 10 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | ხარჯები | 83 | 83 | 22.7 | 22.7 | 24.2 | 24.2 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | შრომის ანაზღაურება | 82.5 | 82.5 | 22.2 | 22.2 | 23.8 | 23.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.4 | 0.4 |
| 02 01 | საგანგებო სიტუაციების მართვა | 60.9 | 60.9 | 0.6 | 0.6 | 0 | 0 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 8 | 8 | 0 | 0 | 0 | 0 |
| | ხარჯები | 60.9 | 60.9 | 0.6 | 0.6 | 0 | 0 |
| | შრომის ანაზღაურება | 60.9 | 60.9 | 0.6 | 0.6 | 0 | 0 |
| 02 02 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 22.1 | 22.1 | 22.1 | 22.1 | 24.2 | 24.2 |
| | მომუშავეთა რიცხოვნობა | 2 | 2 | 2 | 2 | 2 | 2 |
| | ხარჯები | 22.1 | 22.1 | 22.1 | 22.1 | 24.2 | 24.2 |
| | შრომის ანაზღაურება | 21.6 | 21.6 | 21.6 | 21.6 | 23.8 | 23.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.5 | 0.4 | 0.4 |
| **03 00** | **ინფრასტრუქტურის მშენებლობა, რეაბილიტაცია და ექსპლოატაცია** | **0.4** | **0.4** | **9** | **9** | **7.3** | **7.3** |
| | ხარჯები | 0.4 | 0.4 | 9 | 9 | 7.3 | 7.3 |
| | სხვა ხარჯები | 0.4 | 0.4 | 9 | 9 | 7.3 | 7.3 |
| 03 01 | საბინაო-კომუნალური მეურნეობის თანადაფინანსება(კეთილმოწყობის ღონისძიებები დევნილთა ჩასახლებებში) | 0.4 | 0.4 | 9 | 9 | 7.3 | 7.3 |
| | ხარჯები | 0.4 | 0.4 | 9 | 9 | 7.3 | 7.3 |
| | სხვა ხარჯები | 0.4 | 0.4 | 9 | 9 | 7.3 | 7.3 |
| **04 00** | **განათლება** | **21.7** | **21.7** | **21.7** | **21.7** | **21.2** | **21.2** |
| | ხარჯები | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.2 | 21.2 |
| | სუბსიდიები | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.2 | 21.2 |
| 04 01 | სკოლამდელი განათლება | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.2 | 21.2 |
| | ხარჯები | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.2 | 21.2 |
| | სუბსიდიები | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.7 | 21.2 | 21.2 |
| **05 00** | **კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობის ხელშეწყობა და სპორტი** | **96.5** | **96.5** | **75.7** | **75.7** | **82.4** | **82.4** |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | | | | | | |
| | ხარჯები | 96.5 | 96.5 | 75.7 | 75.7 | 82.4 | 82.4 |
| | საქონელი და მომსახურება | 57.1 | 57.1 | 34.1 | 34.1 | 29.5 | 29.5 |
| | სუბსიდიები | 39.4 | 39.4 | 41.6 | 41.6 | 50.7 | 50.7 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 2.2 | 2.2 |
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 58.1 | 58.1 | 44.9 | 44.9 | 49 | 49 |
| | ხარჯები | 58.1 | 58.1 | 44.9 | 44.9 | 49 | 49 |
| | საქონელი და მომსახურება | 32.6 | 32.6 | 19.5 | 19.5 | 17.7 | 17.7 |
| | სუბსიდიები | 25.5 | 25.5 | 25.4 | 25.4 | 31.2 | 31.2 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0.1 | 0.1 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებების დაფინანსება | 32.6 | 32.6 | 19.5 | 19.5 | 17.8 | 17.8 |
| | ხარჯები | 32.6 | 32.6 | 19.5 | 19.5 | 17.8 | 17.8 |
| | საქონელი და მომსახურება | 32.6 | 32.6 | 19.5 | 19.5 | 17.7 | 17.7 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 0.1 | 0.1 |
| 05 01 02 | სპორტული სკოლები | 25.5 | 25.5 | 25.4 | 25.4 | 31.2 | 31.2 |
| | ხარჯები | 25.5 | 25.5 | 25.4 | 25.4 | 31.2 | 31.2 |
| | სუბსიდიები | 25.5 | 25.5 | 25.4 | 25.4 | 31.2 | 31.2 |
| 05 02 | კულტურის განვითარების ხელშეწყობა | 37.4 | 37.4 | 29.8 | 29.8 | 32.4 | 32.4 |
| | ხარჯები | 37.4 | 37.4 | 29.8 | 29.8 | 32.4 | 32.4 |
| | საქონელი და მომსახურება | 24.5 | 24.5 | 14.6 | 14.6 | 11.8 | 11.8 |
| | სუბსიდიები | 12.9 | 12.9 | 15.2 | 15.2 | 18.5 | 18.5 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 2.1 | 2.1 |
| 05 02 01 | კულტურული ღონისძიებების დაფინანსება | 24.5 | 24.5 | 14.6 | 14.6 | 13.9 | 13.9 |
| | ხარჯები | 24.5 | 24.5 | 14.6 | 14.6 | 13.9 | 13.9 |
| | საქონელი და მომსახურება | 24.5 | 24.5 | 14.6 | 14.6 | 11.8 | 11.8 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 0 | 0 | 2.1 | 2.1 |
| 05 02 02 | კულტურის ცენტრი | 12.9 | 12.9 | 15.2 | 15.2 | 18.5 | 18.5 |
| | | | | | | | |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 12.9 | 12.9 | 15.2 | 15.2 | 18.5 | 18.5 |
| | სუბსიდიები | 12.9 | 12.9 | 15.2 | 15.2 | 18.5 | 18.5 |
| 05 03 | რელიგია | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | ხარჯები | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| | სუბსიდიები | 1 | 1 | 1 | 1 | 1 | 1 |
| **06 00** | **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **288.5** | **288.5** | **394.7** | **394.7** | **347.2** | **347.2** |
| | ხარჯები | 288.5 | 288.5 | 394.7 | 394.7 | 347.2 | 347.2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 288.5 | 288.5 | 201.9 | 201.9 | 251.8 | 251.8 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 192.8 | 192.8 | 95.4 | 95.4 |
| 06 01 | სოციალური პროგრამები | 288.5 | 288.5 | 394.7 | 394.7 | 347.2 | 347.2 |
| | ხარჯები | 288.5 | 288.5 | 394.7 | 394.7 | 347.2 | 347.2 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 288.5 | 288.5 | 201.9 | 201.9 | 251.8 | 251.8 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 192.8 | 192.8 | 95.4 | 95.4 |
| 06 01 01 | ავადმყოფთა და შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა სოციალური დაცვა | 41.9 | 41.9 | 49.9 | 49.9 | 67.8 | 67.8 |
| | ხარჯები | 41.9 | 41.9 | 49.9 | 49.9 | 67.8 | 67.8 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 41.9 | 41.9 | 49.9 | 49.9 | 67.8 | 67.8 |
| 06 01 02 | მარტოხელა პენსიონერების და ხანდაზმულთა სოციალური დაცვა | 33.2 | 33.2 | 33.6 | 33.6 | 38 | 38 |
| | ხარჯები | 33.2 | 33.2 | 33.6 | 33.6 | 38 | 38 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 33.2 | 33.2 | 33.6 | 33.6 | 38 | 38 |
| 06 01 03 | ოჯახების და ბავშვების სოციალური დაცვა | 63.2 | 63.2 | 79 | 79 | 97.3 | 97.3 |
| | ხარჯები | 63.2 | 63.2 | 79 | 79 | 97.3 | 97.3 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 63.2 | 63.2 | 44.7 | 44.7 | 46 | 46 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 34.3 | 34.3 | 51.3 | 51.3 |
| 06 01 04 | ომში დაღუპულთა ოჯახების სოციალური დაცვა | 6.6 | 6.6 | 6.2 | 6.2 | 16 | 16 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ხარჯები | 6.6 | 6.6 | 6.2 | 6.2 | 16 | 16 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 6.6 | 6.6 | 6.2 | 6.2 | 16 | 16 |
| 06 01 05 | სოციალური დახმარებები | 124.6 | 124.6 | 210.5 | 210.5 | 114.1 | 114.1 |
| | ხარჯები | 124.6 | 124.6 | 210.5 | 210.5 | 114.1 | 114.1 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 124.6 | 124.6 | 52 | 52 | 70 | 70 |
| | სხვა ხარჯები | 0 | 0 | 158.5 | 158.5 | 44.1 | 44.1 |
| 06 01 06 | დევნილი ოჯახებისთვის დაკრძალვის ხარჯების ნაწილობრივი ანაზღაურება | 19 | 19 | 15.5 | 15.5 | 14 | 14 |
| | ხარჯები | 19 | 19 | 15.5 | 15.5 | 14 | 14 |
| | სოციალური უზრუნველყოფა | 19 | 19 | 15.5 | 15.5 | 14 | 14 |

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 1 აპრილის დადგენილება №3 - ვებგვერდი, 06.04.2016 წ.*

*აჟარის (ზემო აფხაზეთი) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 4 ნოემბრის დადგენილება №11 - ვებგვერდი, 08.11.2016 წ.*

**მუხლი 19**

ამ დადგენილების ამოქმედების დღიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 30 დეკემბერის №28 დადგენილება „აჟარის (ზემო აფხაზეთის) მუნიციპალიტეტის 2015 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ“.

**მუხლი 20**

დადგენილება ამოქმედდეს 2016 წლის 01 იანვრიდან.

**აჟარის (ზემო აფხაზეთის)**
**მუნიციპალიტეტის საკრებულოს** **სპარტაკ გურჩიანი**
**თავმჯდომარე**